ალექს ჩიღვინაძე

სიკვდილის დღის საჩუქარი

Scanned with CamScanner

მოქმედი პირები

მამა – 50-იოდე წლის. მსახიობი. ციხეში საკუთარი რეჟისორის მკვლელობის გამო ზის.

დედა – 45 წლის. ლაპარაკი არ შეუძლია და კისერზე ჩამოკიდებული მომცრო ზომის ლურჯ დაფაზე გაკეთებული წარწერების საშუალებით ეკონტაქტება ოჯახის წევრებს.

შვილები:

და – 18 წლის, სიკვდილმისჯილი ტურეტის სინდრომით. (ამონარიდი ენციკლოპედიიდან: ადამიანები ჟილ დე ლა ტურეტის სინდრომით არიან გაფანტულები, იმპულსურები და ძალიან მგრძნობიარეები და ემოციურები სტრესისადმი. მათ აქვთ პრობლემები მხედველობით-სივრცითი ფუნქციების მომწიფებაში და ნატიფი მოტორული მოქმედებების შესრულებაში. ასევე ახასიათებთ მარტივი და კომპლექსური მოტორული და ვოკალური ტიკები. მათ შორის, სხვისი სიტყვების და ხმების იმიტაცია, სხვათა მოძრაობების გამეორება და იმიტაცია,

Scanned with CamScanner

სიტყვის ბოლო ასოების ან წინადადებების ბოლო სიტყვის გამეორება, უხამსი სიტყვების და ფრაზების უნებლიე წამოძახილი, უნებლიე უხამსი ჟესტები და მოძრაობები. ასევე მათთვის დამახასიათებელია შფოთვა, სტრესი, დაღლილობა, უძილობა. ხოლო ალკოჰოლის ჭარბი დოზა იწვევს ტიკების გაძლიერებას და გამწვავებას. ჟილ დე ლა ტურეტის სინდრომს, ხშირად, თან ახლავს ჰიპერაქტივობა, ყურადღების კონცენტრაციის უნარის დაქვეითება, ქცევითი აშლილობა და განსაკუთრებული მიდრეკილება დეპრესიისაკენ. ის გავლენას არ ახდენს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. გონებრივი განვითარებით ისინი არ განსხვავდებიან თანატოლებისგან.)

ძმა – 30 წლის. ვერ ვიგებთ, რის გამო მოხვდა ციხეში. მისი ერთადერთი გატაცება ლიტერატურაა და მთლიანად გამოგონილ სამყაროში ცხოვრობს.

ზედამხედველი

ხმები

Scanned with CamScanner

სცენაზე არასტანდარტული ციხის საკანი, ორი ორსართულიანი რკინის საწოლის და რკინის კარის გამოკლებით, ყველაფერი სტანდარტული ბიურგერის სასტუმრო ოთახის სტილშია მოწყობილი: წიგნების კარადა, ხელოვნური ყვავილები, იმპრესიონისტთა რეპროდუქციები...

საკნის გვერდით პაემანისთვის განკუთვნილი ოთახია: მინის კედელი, შავი ყურმილი, რომლის საშუალებითაც პერსონაჟები მათ სანახავად მოსულ აბსტრაქტულ სტუმრებს (მაყურებლებს) ეკონტაქტებიან.

სცენის ჩაბნელებულ, შემაღლებულ ადგილს სამეფო ტახტივით პომპეზური, თითქოს კომფორტული, მაგრამ დაძაბულობის შემქნელი ელექტროსკამი მოჩანს.

Scanned with CamScanner

სცენა პირველი

ბიჭი ცარიელ საკანში, საწოლის კიდეზე ზის.

ძმა. დამიჭირეს, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია. ციხეში ჩემს ოჯახთან ერთად მოვხვდი, ერთ საკანში. წარმოიდგინეთ – დედა, მამა და ჩემი და. თქვენ იტყვით, რომ ეს შეუძლებელია, ქალებს და კაცებს ერთ ციხეში ხომ არასოდეს სვამენ. მეც იგივე ვთქვი...

დაჟინებით მოვითხოვდი ერთ კაციან კამერას, კარცერს... მოვითხოვდი ადვოკატს, სახალხო დამცველს, ზარის უფლებას... ზედამხედველს ყურიც კი მოვაჭამე, რის გამოც დავკარგე ორი კბილი, ჩამემტვრა ოთხი ნეკნი და გამებზარა სამი, მაგრამ ყურიც არავინ მათხოვა. მოკლედ ეს რაღაც ექსპერიმენტული ციხე ყოფილა, სადაც განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის ჩამდენ ადამიანებს ანთავსებენ. ითვლება, რომ ოჯახის გარემოში ყოფნა ამკაცრებს სასჯელს. ჩემს შემთხვევაში ეს მართლაც ასეა.

Scanned with CamScanner

მამაჩემი – მკვლელობისთვის ჩასვეს. საკუთარი რეჟისორი მოკლა. არ ვიცი რას დგამდნენ. არასოდეს ვყოფილვარ მის სპექტაკლზე... დედაჩემი კი ძარცვისთვის. დედა – მუნჯია. ცხოვრებაში ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. მტრედივით ღუღუნებს ხოლმე და გულზე დაფა ჰკიდია. ჰოდა, მას მერე, რაც მამა დაიჭირეს, საპროცესო გარიგებისთვის თანხა რომ ეშოვნა, შევიდა ბანკში, ამოილო ცარცი და თავისი კოხტა ხელით გამოიყვანა სიტყვები დაფაზე – ეს ძარცვაა! რის შემდეგაც ამოაძვრინა თავისი 22 კალიბრიანი და... დაიჭირეს.

ჩემი პატარა და კი 15 წლის იყო მარიხუანას გაყიდვა რომ დაიწყო. მასზე ლაპარაკი მიჭირს, ლაპარაკი კი არა, გააზრება მიჭირს (პაუზა) – მას სიკვდილი აქვს მისჯილი თავისი ორი თანაკლასელის მკვლელობის გამო. ამბობს, რომ ეს მას არ ჩაუდენია. მე მჯერა მისი, მაგრამ სხვებმა არ დაუჯერეს, არც სასამართლომ. არადა ერთი მოწმეც კი არ არსებობდა. ის უკვე ორი წელია რაც ზის. როგორც კი 18 წელი შეუსრულდება, სიკვდილით დასჯიან.

ბიჭის ოჯახის წევრები კამერას უბრუნდებიან. დედას დაფა ჰკიდია გულზე. დას მაისურის წინა მხარეს აწერია:

Scanned with CamScanner

„ტურეტის სინდრომი მაქვს“. უკანა მხარეს: „მიმიღეთ ისეთი როგორიც ვარ“

მამა. ისევ არ გამოხვედი სასეირონოდ.

და. რატომ უნდა გამოსულიყო, ჩვენც ახლა მონმარტზე არ გვასეირნებდნენ...

ძმა. ციხეში ხომ მაინც შემიძლია, როგორც მინდა, ისე მოვიქცე.

და. წესით, შეგიძლია.

მამა. ბავშვობიდან გეუბნებოდით მე და დედაშენი, გადი გარეთ, არ შეიძლება ამდენი კითხვა. გადი, ითამაშე ბავშვებთან, გაერთე-თქო.

ძმა. თქვენი არც ერთი რჩევა არ მახსენდება, რომ-ლის შესრულების შემდეგ დისკომფორტის შეგრძნება არ მქონოდა, არც ერთი.

მამა. ეს იმის ბრალია, რომ უკულმა აკეთებდი ყველაფერს.

ძმა. ნეტავ მართლა უკულმა გამეკეთებინა.

დედა დაფაზე წერს და მამასკენ ატრიალებს: „შენ გგავს“.

მამა. ისევ გვირაბს თხრიდი ხო?

ძმა. რა შენი საქმეა?

Scanned with CamScanner

მამა. არა რა, ზუსტად ისე იქცევი, როგორც სახლში. შენზეა ნათქვამი: ციხეც კი ვერ გაასწორებსო.

ძმა. ციხე თუ კუბო?

მამა. რა მნიშნველობა აქვს, გარეთ ცხვირს მაინც არ ჰყოფ.

რკინის კარზე ფანჯარა იღება და რკინის ლანგარზე დაწყობილი თეფშები ჩნდება.

ძმა. აი, ჩვენი სალაფავიც...

მამა. მშვენიერია, ზუსტად ახლა დავიწყე საჭმელზე ფიქრი... (ლანგარს მაგიდაზე დებს და სკამზე ჯდება) გელოდებით.

და. არ მშია. (ტიკები ეწყება. ხელებს ატრიალებს და საკანში სირბილს იწყებს)

რატომ არ ჩერდებიან ეს კედლები ადგილზე. რატომ ტრიალებენ ისინი ჩემს გარშემო. რატომ?

მამა. რამდენჯერ უნდა გავიმეორო?

ძმა. ხომ იცით, რომ ვერ გაჩერდება.

გოგონა მალე მშვიდდება და ყველანი მაგიდას შემოუსხდებიან.

მამა. ხელები...

და. კარგი რა...

Scanned with CamScanner

ხელებს ჩაკიდებენ და მამა ლოცვის კითხვას იწყებს. დას ტიკები ისევ უმეორდება და ხელებს ვერ აჩერებს.

მამა. გმადლობ შენ ღმერთო...

და. რა საშინელი სუნი აქვს...

მამა. იმისათვის რომ მოგვეცი ჭერი თავზე...

და. ნუ შეგვეცი რა...

მამა. მოგვეცი საკვები და დანარჩენი შენ უკეთ იცი.

იწყებენ ჭამას. დროგამოშვებით გოგონას ისევ წამოისვრის ხოლმე არანორმატიულ ფრაზებს.

ძმა. დოსტოევსკიმ ციხეში ყოფნისას პატარა მოთხრობა დაწერა კედელზე, „მღვდელი და ეშმაკი“.

მამა. რითი დაწერა?

და. მძღნერით...

ძმა. მოთხრობა ასე იწყება, მსუქანო მღვდელო, ეუბნება ეშმაკი, ადამიანებს ჯოჯოხეთით რომ აშინებ, ძალიან კარგად იცი, რომ სინამდვილეში ჯოჯოხეთი დედამიწაზეა...

მამა. ჯოჯოხეთს ჩვენ თვითონ ვაშენებთ, ჩვენივე ხელით...

ძმა. ჰოდა, წაიყვანა ეშმაკმა მღვდელი და ანახა, როგორ ცხოვრობენ ღარიბი ადამიანები, თანდათან სულ უფრო მძიმე სურათებს უჩვენებდა...

და. (ბოლო ხმაზე გაჰყირის) ეშმაკსაც წაულია თქვენი თავი.

Scanned with CamScanner

ძმა. ბოლოს ციხეში მიიყვანა, სადაც გაყინულ იატაკზე ბინძური პატიმრები ძირს ეყარნენ, უჰაერო საკანში. და უთხრა, გაიკეთე ახლა ბორკილები, მიუწექი გვერდზე ამათ და ისე შეაშინე ჯოჯოხეთითო.

მამა. გასაგებია...

და. მიუწვა მერე?

ძმა. რა არის გასაგები?

მამა. ის რომ ეგ ისტორია ჩემს ლოცვას მოაყოლე და საერთოდ დასცინი იმას, რომ ხშირად ველაპარაკები ღმერთს და რომ მისი იმედი ყოველთვის მქონდა.

ძმა. ცდები, უბრალოდ გამახსენდა და მოვყევი.

მამა. (ყვირის) ანგარიში მოგვიტანეთ! მივდივართ!

და. რაო მერე იმ მსუქანამ?

ძმა. არ ვიცი, არ მახსოვს.

მამა. რაო და ეს ყველაფერი შენზე კარგად ვიცი, ბატონო ეშმაკუნაო.

და. რაღაც მინდა, რომ გითხრათ...

ძმა. რა უნდა გვითხრა?

და. დედა, მამა... (ტიკები ისევ უმორდება და იტაკზე გაწვება)

და. ვთხოვდები...

Scanned with CamScanner

საკანში ნელ-ნელა ისადგურებს სიბნელე.

მამა. ვისზე?

დედა დაფაზე კითხვის ნიშანს ხატავს.

და. იმ ახალ ზედამხედველზე...

მამა. ადექი... შენ ხომ არ გააფრინე?

და (დგება) გაგიკვირდებოდა რომ გამეფრინა?

ძმა. გადაწყვიტე უკვე?

დას ისევ ტიკები უმეორდება. საკანში სინათლე ციმ-ციმს იწყებს. გოგონა თითქოს ღამის კლუბში ცეკვავს. ბნელდება.

სცენა მეორე

ბიჭი ზის პაემანისთვის განკუთვნილ ოთახში. ხელში იღებს ყურმილს და იწყებს ლაპარაკს.

ძმა. დიდი მადლობა, რომ მოხვედი. ძალიან მარტო ვგრძნობ თავს და ძალიან მიხარია შენი დანახვა. მიხარია, რომ არ დამივიწყე. მართალია, ერთმანეთს ვერ ვეხებით, მაგრამ ვხედავთ ერთმანეთს, გვესმის ერთმანეთის. ესეც

Scanned with CamScanner

ხომ რაღაცაა. შენ საერთოდ განსხვავებულ რეალობაზე გიყვები. შენ გგონია, რომ ამ ყველაფერს კავშირი აქვს შენს რეალობასთან, მაგრამ ცდები...

ცოტა ხნის წინ რადიო თავისუფლებამ მთხოვა დამეწერა დღიური მათთვის. ამ დღიურებს ძირითადად პოლიტიკოსები, მწერლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები წერენო. მე ვუთხარი, რომ სულაც არ ვგრძნობდი თავს საზოგადოების ნაწილად. მაგრამ მათ მითხრეს, რომ დამეკიდებინა ეს და დამეწერა ჩემი ყოველდღიური განცდების შესახებ, ციხეზე. არ ვიცი, რაღა მაინცდამაინც მე შემარჩიეს. უარი აღარ ვუთხარი.

ჰოდა, ახლა ვწერ ყოველდღიურად... თუმცა მაინც ვერ ვხვდები, რისთვის ვაკეთებ ამას. ჩვენ ხშირად ვისმენთ ისტორიას, რომელიც მალე გვავიწყდება. ხშირად შეიძლება ისეთი ისტორიებიც დაგვავიწყდეს, რომელიც ჩვენს თვალწინ გათამაშებულა, რომელშიც ვმონაწილეობდით ან სულაც მთავარ როლს ვასრულებდით... მთავარი დეტალებია, რისგანაც ეს ისტორიები შედგებიან, მინიშნებები. ჰოდა, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი დეტალი შევამჩნიო. ვაკვირდები ჩემს მშობლებს, ჩემს დას და ვცდილობ, დავინახო მეტი – მე და ჩემი და იძულებულები ვართ,

Scanned with CamScanner

თვალი ვადევნოთ 24 საათიან, უწყვეტ, სასტიკ რეპორ-ტაჟს, მთელი ბავშვობა რომ დაგვიმახინჯა – დედაჩემის და მამაჩემის ურთიერთობას ერთმანეთთან და ჩვენთან...

ჩემს დას ტურეტის სინდრომი აქვს. მოულოდნელად იწყებს ხოლმე თავის კანტურს, ხელების ქნევას. იწყებს გინებას ან ყვირილს... ბავშვობიდან აგინდებდა ყველას, გამვლელებს, ოჯახის წევრებს. იმიტომ კი არა რომ უნ-დოდა, არა, უბრალოდ არ შეეძლო თავის შეკავება. აქაც ხშირად გაიყვანდნენ სეირნობაზე და ის კი გაიქცეოდა მოულოდნელად, იმიტომ კი არა რომ სადმე უნდოდა გაქცევა, არა, უბრალოდ არ შეეძლო სხვანაირად – უნდა გაქცეულიყო. გინების გამო კი ხშირად ცემდნენ. შემდეგ ცდილობდა ასოები შეეცვალა სიტყვებში, რომ ვერავის გაერჩია რას ამბობდა...

შემოდის და. მასაც პაემანი აქვს. ის თავისი ძმის გვერდზე ჯდება.

ძმა. ელოდები ვინმეს?

და. ჰო, ჩემი შეყვარებული მოდის.

ძმა. რა უნდა?

და. გაიგო, რომ ვთხოვდები.

ძმა. მერე?

Scanned with CamScanner

და. შენთან ვინ იყო მოსული?

ძმა. არავინ...

და. როგორ არავინ? აბა, ვის ელაპარაკებოდი?

ძმა. ხანდახან, იმისათვის რომ ილაპარაკო, არავინ გჭირდება. აი, რომ გაჩუმდე, ამისთვის კი გჭირდება ერთი ადამიანი მაინც.

და. ისევ ის გოგო იყო მოსული?

ძმა. ისევ ის...

და. წავიდა უკვე?

ძმა. ჰო, წავიდა... ისე წავიდა, რომ არც დამმშვიდობებია. ვაწყენინე მგონი რაღაც.

და. დარჩი რა.

ძმა. დავრჩები.

ისმის კარის გაღების ხმა.

ხმა. 10 წუთი გაქვთ.

და. გამარჯობა, რამ შეგაწუხა, ნაბიჭვარო? ჯერ იქნებ გეკითხა, როგორ ვარ... გმადლობ, შესანიშნავად ვგრძნობ თავს... პირდაპირ გადასარევად... რა რატომ? ვიცი, ვიცი, ყოველ მოსვლაზე იგივეს იმეორებ. შეეცადე, რაიმე ახალი მითხრა... აქ, ციხეში, თითქმის არაფერია ახალი... ყოველ-დღიურად ერთიდაიგივე მძღნერი. აქ ყველაზე მეტად

Scanned with CamScanner

ახალი შეგრძნებები ფასობს. ვერ დაგელოდები... ძალიან მარტო ვარ... როდის ჩაჯდები შენ ციხეში? მაგრამ ეს არ არის ჩემი მთავარი პრობლემა... კარგად იცი, რაც... თვალზე რა მჭირს? გრიმია – მცემეს! ხუთნი მირტყამდნენ... მშიშარა ყლეები. არა, მითხარი, რა ვქნა? ჰოდა, არც მე ვიცი... გთხოვ, ნუ იღებ ეგეთ საცოდავ სახეს... ნუ მახსენებ ჩემსავე სიტყვებს... მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩემი სიკვდილის დღე... ნაბიჭვარო, ნაბიჭვარო... თავი დამანებე, არ შეგიძლია, რომ შემეშვა? რა ბედნიერები? (მინას უბრახუნებს ხელს) როგორ წარმოგიდგენია ჩვენი ბედნიერება? რა იმედი, ნაბიჭვარო, რა იმედი? რისი ან ვისი? სად წახვედი? როგორ? მითხარი, როგორ მქონდეს იმედი?

ძმა. დაწყნარდი... ღრმად ისუნთქე.

და. მორჩა, მშვიდად ვარ.

ძმა. რატომ ელაპარაკე ეგრე?

და. როგორ ეგრე?

ძმა. უსამართლოდ და სასტიკად ექცევი...

და. მე არ მექცევიან სასტიკად? იქნებ მართალი ხარ. მე რომ სასტიკად მექცევიან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეც იგივე უნდა გავაკეთო. მაგრამ, ჯობს გაბრაზებული იყოს, ვიდრე დაიტანჯოს...

Scanned with CamScanner

ძმა. ჩემო პატარა დაიკო, როდის მოასწარი ამდენი ფიქრი... იქნებ თვითონვე აარჩიოს, რა ურჩევნია – გაბრაზდეს თუ დაიტანჯოს.

და. არასწორ არჩევანს გააკეთებს.

ძმა. და შენ სწორ არჩევანს აკეთებ?

და. როგორ გავაკეთო არჩევანი მაშინ, როცა არსებობს განაჩენი?...

ძმა. ყოველთვის არსებობს განაჩენი.

და. ურჩევნია მოკლას ის ყველაფერი, რასაც მე მიკავშირებს, ვიდრე თან ატაროს და დაამახინჯოს. არ მინდა ვილაცის მახინჯ, მკვდარ ნაწილად ვიქცე.

ძმა. ისედაც გაქრება ეგ ცოტა ხანში...

და. არაფერიც არ გაქრება. ჩვენ სხვა ადამიანებთან ერთად ვკვდებით თანდათან, ყველა ჩვენთვის საყვარელი ადამიანის სიკვდილისას კვდება ჩვენი დიდი თუ პატარა ნაწილი – საბოლოოდ კი არაფერი გვრჩება. სჯობს, რომ თავიდანვე ამ არაფერს შევეგუოთ...

დგება და გადის.

ძმა. (პაუზა) გავაგრძელოთ? მაშ, ასე... ყოველ ღამე ჟან ჟენეს ვუკითხავ ჩემი ოჯახის წევრებს. განსაკუთრებულ მომენტებში მამაჩემი სახეზე წითლდება და მიყვირის:

Scanned with CamScanner

პიდარასტო, შენც ეგეთი ხარ, მოდი ხო, ბარემ მეც მომი-ნუწნე კვერცხები... რაიმე ნორმალური მაინც წაიკითხე, ახალი აღთქმა მაინც წაიკითხე, შენი დედა მოვტყან.

დედას კი მოსწონს. პოეზიაა, ამბობს. ამბობს რა, ხატავს დაფაზე...

სცენა მესამე

მამა. ღმერთს ებარებოდეთო! – დამიყვირა. დიდი სიამოვნებით, მაგრამ ახლა მხოლოდ ის შემიძლია, ამ დამპალ პოლიციელს ჩავბარდე-მეთქი. ვუპასუხე.

შემოდის გოგო.

მამა აგრძელებს. ჰოდა, პოლიციელი მიმიზნებს იარაღს და მე ვუღიმი. ვერ მცნობ-მეთქი? ვკითხე. ვერაო, გააქნია თავი. გაიხსენე ჰამლეტი, ოტელო... ვეუბნები. ის კიდევ უარყოფის ნიშნად აქნევს თავს და დაწექიო მიყვირის. დავწვები, ჩემო ბატონო, რა მეჩქარება-მეთქი, ვპასუხობ. ლირიც არ გახსოვს? იქნებ ეს მაინც გაიხსენო: „სტყუი, მიჰქარავ, სულმდაბალო, სისხლისმელო სვავო!“ მეფე ლირის სიტყვებზე დაიძაბა საერთოდ. ხელები მაღლაო,

Scanned with CamScanner

ღრიალი მორთო. დააგდე იარაღი. მე კი ვაგრძელებ: „მე მახლავან სულ რჩეულნი დარბაისელნი, მათ კარგად ესმით თვისი ვალი, პატიოსნება...“ მეც ხმას ვუმატებ: „ვით დაარღვია მან სიცოცხლის ჩემისა წყობა,“ ამ დროს უკნიდან ვილაც მახტება.

ვაი, ლირ, ლირ! ურაკუნე ახლა ამ კარს თავი...

და. რომლიდანაც შენ გამოდევნე გონება შენი და უჭკოობა შიგ შეუშვი...

მამა შვილს კოცნის.

და. ქორწილი კვირას არის დანიშნული. აი, ამ ბინძური დერეფნის გავლით უნდა მივიდეთ საკურთხეველთან. შენ უნდა მიმიყვანო, მამა. ყვავილები მექნება ხელში და თეთრი კაბა მეცმება. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ნამდვილ ქორწილშია.

მამა. ყოველთვის ვოცნებოდი მაგაზე.

და. მეც ვოცნებობდი... ის მოდის რკინის ჩარაზულ კართან. აღებს ფანჯარას და მომჩერებია. ვინა ხარ მანდა? ღამის წყდიადს მოფარებული, ქურდულად ისმენ ჩემს გულისთქმას! მე ვარ – მეტყვის ჩურთულით. ჩემო სატრფოვ! – ვეუბნები. თუ აგრეა, სიტყვაზე გიჭერ, სატრფო მიწოდე. სიტყვაზე? არა, მე მკვლელობაზე

Scanned with CamScanner

დამიჭირეს, შე, ნაბიჭვარო! სიყვარული ციხეში, სანამ მისი ცვლა დამთავრდება... პირველი ღამე ციხეში. თაფ-ლობის თვე ციხეში. დანარჩენილი ცხოვრებაც ციხეში. სიკვდილი ციხეში. ბავშვი გაიზრდება ციხეში. ეკლიან მავთულხლართებში ირბენს, გისოსებიდან უყურებს ცას. აი, ასე ვხედავ ჩემს მომავალს და მაინც უარს არ ვამბობ მასზე. არ შემიძლია და იმიტომ... მგონი დროც ტიკია, ახალი ტიკი, აი, ამ ხელების მოძრაობასავით.

დედა მიდის გოგოსთან და მოფერებას უწყებს. შემდეგ ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან.

მამა. რას აკეთებენ?

არ პასუხობენ. ტუჩებშეწებებულნი დგანან გაუნ-ძრევლად.

ძმა. ხვალ მისი დაბადების დღეა.

მამა. ვიცი...

ძმა. ხვალევეა ქორწილიც?

მამა. კი, ხვალ არის ისიც...

ძმა. რა უნდა ვქნათ?

მამა. არ ვიცი, არ ვფიქრობ მაგაზე.

ძმა. აბა, რაზე ფიქრობ?

მამა. მირჩევნია, არ ვიფიქრო...

Scanned with CamScanner

დედა თავის შვილს თეთრ კაბას აცმევს და ისინი ერთად ცეკვავენ. რკინის კარზე პატარა ფანჯარა ხმაურით იღება და სარკმელში ჩნდება ტორტი, ზედ რამდენიმე ანთებული სანთელით. კართან ატუზული ზედამხედველები მხიარულად მღერიან.

Happy Birthday to You!

Happy Birthday to You...

გოგო სანთლებს აქრობს. მამა ტორტს მაგიდაზე დებს.

მამა. დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო პატარა გოგო.

და. დღეს ბედნიერი დაბადების დღე უნდა მქონდეს. დღეს ხომ ჩემი უკანასკნელი დაბადების დღეა.

დედას ცრემლები მოსდის და დაფაზე დახატული გული იშლება.

ძმა. შენთვის საჩუქარი მაქვს. გვირაბის გათხრა დავასრულე და მინდა, რომ გაიქცე.

და. ხომ იცი რომ ვერ გავიქცევი, ქორწილი მაქვს.

მამა. ჩემი პატარა გოგო...

და. სად გავიქცე? მერე ქორწილი?

ძმა. ხომ იცი, რაც მოხდება?

და. ყველამ ვიცით, რაც უნდა მოხდეს, ასე რომ, არ ღირს ამაზე ლაპარაკი.

Scanned with CamScanner

მამა. რა ვქნა, რომ არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

დედა დაფას იხსნის და იწყებს კედელზე ხატვას.

და. არც არაფერია გასაკეთებელი, მამა... შეხედე, დედა კედელთან მიდის და ხატავს ბედნიერი ოჯახის სურათს. ხელჩაკიდებულ მშობლებს და შვილებს, მათი ზომის სახლს, მათზე ოდნავ დიდ მზეს. ხეს, რომლის ტოტებიც მათ კიდურებს ჰგავს. ძაღლს, რომელიც მხიარული დარბის მათ გარშემო.

შემდეგ მიდის დედასთან ართმევს ცარცს და ნახატს ჩხაპნის.

საკანში ნელა სიბნელე ისადგურებს.

სცენა მეოთხე

ელექტრო სკამის ადგილი გაჩახჩახებულია. ორ ფორმიანს მოჰყავთ თეთრ, საქორწინო კაბაში გამოწყობილი გოგო. სკამთან საქმრო ელოდება, ზედამხედველი, ვისაც განაჩენის ასრულება ევალება.

საქორწილო რიტუალი იწყება. დედოფალი ელექტროტახტრევანზე დაბრძანდება.

Scanned with CamScanner

ხმა. თანახმა ხართ თუ არა ცოლად გაჰყვეთ იმას, ვინც განაჩენი უნდა აღასრულოს?

და. თანახმა ვარ.

ხმა. თქვენ, თანახმა ხართ ცოლად შეირთოთ და შემდეგ განაჩენი აღასრულოთ?

ზედამხედველი. თანახმა ვარ.

ხმა. უარს ამბობთ მღვდელზე?

და. დიახ, უარი ვთქვი ღმერთზე, უარი ვთქვი სიცოცხლეზე, უარი ვთქვი ოჯახზე, უარი ვთქვი მომავალზე და ახლა თქვენ მე მეკითხებით, უარს ვამბობ თუ არა ვილაც მსუქან მღვდელზე, რომელსაც მხოლოდ მოვალეობის შესრულება უნდა?

ხმა. უარს ამბობთ მღვდელზე?

და. დიახ, უარს ვამბობ.

ხმა. შევუდგეთ პროცედურას.

ზედამხედველი გოგოს ნიღაბს არგებს სახეზე.

და. არ მიფარავდეს ახლა სახეს მე ეს ტომარა, ქალწულებრივი მორცხვობისგან გავწითლდებოდი...

ზედამხედველი. მე მინდოდა ბედნიერები ვყოფილიყავით...

და. ტკივილს ხომ ვერ ვიგრძნობ, ნაბიჭვარო? ხომ მპირდები?

Scanned with CamScanner

ზედამხედველი. გპირდები...

მას ღვედს გადაუჭერენ. სახეზე სპეციალურ ნიღაბს არგებენ და „საქმრო“ ჩამრთველს გადასწევს. სინათლე ციმციმს იწყებს. გოგო 3 წუთის განამვლობაში იკლაკნეება სკამზე.

ციხეში აჯანყება იწყება. თითოეული პატიმარი საკნის გისოსებიდან ცდილობს საკუთარი ისტორიის მოყოლას.

ხმა. გაგვათავისუფლეთ მკვლელებისგან, ისინი ისევ აქ რჩებიან.

ხმა. ცემაში გვხდიან სულ სულს.

ხმა. ესენი არიან დაბმული ადამიანების მკვლელები, გვაბამენ და ისე გვცემენ, ესენი არიან ჯალათები, რომლებსაც სისხლი არ აქვთ...

ხმა. გაცინებისთვის, სიგარეტის მოწევისთვის ათ-ათი კაცი ცემით გვკლავს.

ხმა. გვიშველეთ, გვიშველეთ, მოაშორეთ ეს ხალხი, ვინც კი აქ მუშაობდა, თორემ ველარ გავუძლებთ, ველარ მოვითმენთ ასე!

გოგო კვდება.

ხმა. ვიღაცას გვირაბი გაუთხრია და გაქცეულა.

ხმა. ჩვენც გავიქცევით.

Scanned with CamScanner

ხმა. ვიღაც კიდევ დაუსჯიათ სიკვდილით.

ხმა. სულ მთლად ბავშვი ყოფილა...

მამა. ის უკვე მოკვდა. (პაუზა) ის კი გაიქცა.

დედა დაფაზე წერს – „დასასრული“.

მამა სახელოთი შლის წარწერას და წერს – „მიყვარხარ“.

მამა. ეს არის ჩვენი გამოსავალი. ჩვენ არასოდეს არ გვქონია არაფრის იმედი. ასეთ ცხოვრებას შევეჩვიეთ.

Scanned with CamScanner